თვითმმართველი ქალაქის –ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი
№2

ქ. ქუთაისი 9 თებერვალი 2012 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

კოტე რატიანი	– ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.
ლევან ჭანჭალეიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ვასილ მებურიშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ირაკლი გიორგაძე	–ქ ქუთაისის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.
ნოდარ მიქიაშვილი	–ქ. ქუთაისის მერიის სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის წევრი, სატენდერო კომისიის აპარატის უფროსის მოადგილე.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი : კონკურსის მეშვეობით ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას I შესახვევში სკოლა ,,მერმისთან" და მელიქიშვილის ქუჩამდე მისასვლელი შიგაკვარტალური და ირ. აბაშიძის №2 სახლიდან ჯავახიშვილის ქუჩის პირველ შესახვევთან შესაერთებელი გზების კაპიტალურად შეკეთების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის შესახებ (საკონკურსო განცხადების №285. 03.02.2012).

განხილვა: საკონკურსო კომისიის წევრმა ნოდარ მიქიაშვილმა კომისიის წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დალუქული კონვერტი წარმოადგინა – შ.პ.ს ,,კარიბჭე"–მ.

ამის შემდეგ დალუქული კონვერტი გაიხსნა კონკურსანტის თანდასწრებით და გამოცხადდა საკონკურსო წინადადების ფასი.

შ.პ.ს ,,კარიბჭე"–მ წარმოადგინა საკონკურსო წინადადება 3600 (სამიათასექვსასი) ლარზე (დღგ–ს გარეშე).

საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით საკონკურსო წინადადების და საკონკურსო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის ვადათ განისაზღვრა 2012 წლის 9 თებერვლის 12:30 საათამდე პერიოდით.

შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და თანმხლები დოკუმენტები შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ განცხადების მოთხოვნებს.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ნოდარ მიქიაშვილმა.

ამის შემდეგ განხორციელდა კონკურსანტის შეფასება.
შ.პ.ს ,,კარიბჭე"–მ მიიღო 34,4 ქულა.

აზრი გამოთქვეს: საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ – კოტე რატიანმა.
კომისიის წევრებმა: ლევან ჭანჭალეიშვილმა და ვასილ მებურიშვილმა.

დაადგინეს: 1. საკონკურსო კომისიის შეფასებიდან გამომდინარე ქალაქ ქუთაისში ზ. გამსახურდიას I შესახვევში სკოლა ,,მერმისთან" და მელიქიშვილის ქუჩამდე მისასვლელი შიგაკვარტალური და ირ. აბაშიძის №2 სახლიდან ჯავახიშვილის ქუჩის პირველ შესახვევთან შესაერთებელი გზების კაპიტალურად შეკეთების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ კონკურსში გამარჯვებულად გამოვლინდა შ.პ.ს ,,კარიბჭე".

2. ქალაქ ქუთაისის მერიის კეთილმოწყობის სამსახურმა (ლევან ჭანჭალეიშვილი) გამოყოს სათანადო უფლებამოსილი პირები და უზრუნველყონ ,,შემსყიდველსა" და ,,მიმოწოდებელს" შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიღება–ჩაბარება დადგენილი წესის მიხედვით.

3. საკონკურსო კომისიამ კანონით დადგენილ ვადაში უზრუნველყოს გამარჯვებული ორგანიზაციის მოწვევა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების გასაფორმებლად.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: კოტე რატიანი

კომისიის წევრები:

ლევან ჭანჭალეიშვილი

ვასილ მებურიშვილი

ირაკლი გიორგაძე

ნოდარ მიქიაშვილი